# სახალხო გაზეთი

№ 379 ხუთშაბათი, 18 აგვისტო, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 379

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხადამის 4 საათამდე. ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ბორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სახალხო ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## დ. ყვირილაში

„ორიპანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე", აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.


თ-დი ლენტორ დავითის ძე ლორთქიფანიძე აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ძვირფას სიძის

## ალექსი ნიკოლოზის ძის ფარსადანოვის

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 18 აგვისტოს. ცხედარს ვანქის ტაძარში წაასვენებენ დილის 9 ნახ. საათზე, საკუთარ სახლიდან (მიხეილის ქუჩა, სახ. № 183). დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში. (2—771—2)

დესპინე დავითის ასული და ასული მისი ნინო ფარსადანოვები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველისა—ძვირფასი მეუღლე, მეორისა—საყვარელი მამა

## ალექსი ნიკოლოზის ძე ფარსადანოვი.

გამოსვენება ვანქის ტაძარში, ხუთშაბათს, 18 აგვისტოს, დილის 9½ საათზე საკუთარის სახლიდან (მიხეილის ქუჩა № 183) დაკრძალვა იმავ დღეს დიდუბის ეკლესიის ეზოში. (1—771—1)

მატრონა გიორგის ასული, ნადეჟდა ივანეს ასული ქუთათელაძისა, ნატალია გიორგის ასული ხაინდრავასი, იოსებ, გედევან და ვლადიმერ ქუთათელაძეები მოუწოდებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რათა მობრძანდნენ კვირას, 21 აგვისტოს, სოფ. ივანდიდში (ხონის მაზ.) ძვირფას და დაუვიწყარ

## სტუდენტ სიმონიკა ქუთათელაძის

გარდაცვალების წლის წირვაზე და განსვენებულის სამარესთან პანაშვიდის დასასწრებლად. (2—1449—1)

ტფილისის მომხმარებელ საზოგადოების

## „მომავალი"-ს გამგეობა

ამით აცხადებს მკითხველ საზოგადოების საყურადღებოდ, რომ ვისაც საზოგადოების წევრად ჩაწერა სურს, უნდა მიმართოს ქვემო-დასახელებულ პირთ: 1) რკინის გზის მთავარ სახელოსნოში კოსტა ჩუბაშვილს და ახობაძეს, 2) რკინის გზის დეპოში დ. ჯაჭიძეს, 3) ტფილისის საქონლის სადგურზე ვარლამ დოლიძეს, 4) ტრამვაის დეპოში თევზაძეს, 5) ენფიანჯიანცის თამბაქოს ქარხანაში პეტრე მემარნიშვილს, 6) ქალაქის შრომის ბირჟაში გ. ხრამელაშვილს, 7) მიხეილის ქუჩაზე პურმარილეულობის მაღაზიაში კ. გარაყანიძეს, 8) ნადიროვკაში სამავთლინი ქუჩაზე მეჩექმე ლ. ლ. ხირაძეს, 9) სომხის ბაზარში, „ობოროტის" მაღაზიაში, გ. კუციაგას, 10) გოლოვინის პროსპექტზე, „სეზონის" მაღაზიაში, გ. ჩუკაშვილს და 11) იმავე პროსპექტზე ბუფეტ „ეკონომიაში" ს. ი. კახეთელიძეს.

ჩაწერა შეიძლება აგრეთვე ხსენებულ საზოგადოების გამგეობის წევრებთან და საზოგადოების საკუთარ კანტორაში, ელისაბედის ქუჩაზე № 176, ყოველ დღე დილის 10—12 საათამდე და 5—7-დე, მხოლოდ უქმე დღეებში 10—12 ს.-დე. ამავე კანტორაში მსურველს შეუძლიან მიიღოს ყოველ დღე ცნობა საზოგადოების შესახებ. (4—773—1)

საზოგადოების გამგეობა.


ამ წლის 14 აგვისტოდან გამოვა ქ. ქუთაისში

ყოველ-დღიური სამეცნიერო, საპოლიტიკო და სალიტერატურო

## ქართული გაზეთი

## „მ ნ ა თ ო ბ ი".

გაზეთის ფასი: წლიურად 7 მ., ნახევარი წლით 4 მ. 3 თვით ქუთაისში 2 მ. 20 კ. 3 თვით ქუთაისს გარეშ 2 მ. 50 კ. თვიურად ქუთაისში 80 კ., ქუთ. გარეშ 90 კ. თითო ნომერი ყველგან ერთ შაურად. საზღვარ-გარეშ წლიურად 14 მ. განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა 3 მან.

რედაქტორ-გამომცემელი რაჟდენ ვაჩრიძე.

რედაქციის ადრესი: Кутаисъ, Балахванская ул., д. N 12. (10—1440—6)


## ტფილისის ქალაქის გამგეობა

კვლავ საყოველთაოდ აცხადებს, რომ სასანიტარო ნაწილის სავალდებულო დებულებათა მე-42 მუხლის თანახმად, ყველა ახლად შეკეთებული, თუ საფუძვლიანად გადაკეთებული სახლი, მდგმურების დაბინავებამდე, ქალაქის გამგეობის მიერ დანიშნულმა საგანგებო კომისიამ უნდა დაათვალიეროს, რასაც აუცილებლივ უნდა დაესწროს ქალაქის ტეხნიკოსი და ექიმი, რომელნიც სათანადო ოქმში აღნიშნავენ: ა) სახლი თავისის მოყვანილობით შეეფერება თუ არა სავალდებულო დადგენილებათა მოთხოვნილებას, როგორც საამშენებლო, ისე სასანიტარო მხრივ და სხვა; და ბ) სახლის რომელ ნაწილში არ შეიძლება ბინადრობა.

სახლში მდგმურების დაყენება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ქალაქის გამგეობისაგან სახლის პატრონს ზემოხსენებულ ოქმის მიხედვით მოწმობა მიეცემა.

გამგეობა სთხოვს ქ. ტფილისში მოქირავნეთა და სახლის პატრონთ, რომელნიც სახლებს აქირავებენ საბინადროდ, სავაჭრო საქმისათვის და სხვა, ეს ყოველივე მხედველობაში იქონიონ. (3—1452—1)

ქალაქის მოურავი ალ. ხატისოვი.


## „განათლების" საზოგადოების ქალთა სასწავლებელი

პროგიმნაზიული კურსით.

(საკუთარი სახლი, სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 6).

სასწავლებელი შესდგება სამი მოსამზადებელი განყოფილებისა და ოთხი პროგიმნაზიული კლასიდან.

სწავლის ფასი: მოსამზადებელ განყოფილებაში წელიწადში 24 მან. პროგიმნაზიული კლასებში წელიწადში 30 მან.

ყმაწვილების გამოცდა და მიღება დაიწყება 26 აგვისტოდან, სწავლა 1 სექტემბრიდან. (4—754—3)

## პ. ი. მალიშევის

სარატოვულ სარპინკების საწყობი

აუწყებს პატივცემულ მუშტარს, რომ რადგან სახაფხულო სეზონი თავდება, დანიშნულია

15 აგვისტოდან 10 სეკტემბრამდე

## იაფობა

სარატოვის სარპინკისა და სხვა სხვა საქონლისა. ფასის დიდ სიიაფეში მუშტარს ვთხოვ პირადად დარწმუნდეს.

ტფილისი, სომხის ბაზარი, მანთაშევის ქარვასლის პირდაპირ. (2.769.2)


## ყვირილის გამგეობა

საპარტი კასის— ამით აცნობებს აღნიშნულ კასის წევრებს და სთხოვს დაესწრონ კასის მორიგ წლიურ საზოგადო წევრთა კრებას, რომელიც დანიშნულია ამა წლის 30 აგვისტოს, სამშაბათს, დილის 9 საათზე დ. ყვირილაში, ყვირილის საკრებულოს დარბაზში.

განსახილველი:

1) 1910 წ. ანგარიშის განხილვა და დამტკიცება; 2) მოხსენებანი გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა; 3) კომისიის მიერ შემუშავებული წესები წესდების შეცვლისა; 4) თხოვნები მ. გაჩეჩილაძის და თ. არდიშვილისა—გამგეობის მოხსენებით; 5) არჩევა გამგეობის წევრისა, მათი ნაცვლებისა და სარევიზიო კომისიის წევრთა. (3—1453—1)


## საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—118)


## ქალაქის გამგეობა

ამით იუწყება,

რომ აგვისტოს 20 გამოცხადდება ქ. ტფილისის ამომრჩეველთა წინასწარი სია, მომავალ საქალაქო არჩევნებისათვის.

სია მიეცემა ამომრჩევლებს საბჭოს კანცელარიაში, ხოლო გადასათვალიერებლად გამოკრულია სავაჭრო-სამეურნეო აგენტთა ყველა კანტორებსა და საპოლიციო უბნებში.

სიას ყოველი საჭირო ცნობა აქვს დართული. (1—1455—1)


## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეც.

საამბულატორიო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დავითაშვილი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქაჯაიაძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით ა ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ., ღარიბებით წასულია.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ტრემბიცკაია ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოშტარევსკი გ. მ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხუდაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს. ღარიბებით წასულია.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი

## წამლობა „606"-ით

(Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. ღარიბებით წასულია.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. ძოხსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეთავაზ. სადღეღამით (წ.—1089—688)

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12. (1—416)

## სურამში

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ ლომსაძის აგარაკი.

## ექიმი გ. მ. ლოლობერიძე

შინაგანი და ქალთა სნეულებანი.

იღებს ავადმყოფებს საღამოობით, ყოველ-დღე 5—7 საათამდე.

კირპიჩნი შესახვევი, № 16, სახ. სვიმონოვისა. (თ—1426—11)

## ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე.

## ექიმი ბ. ნ. მაგაკიანი

დაბრუნდა უცხოეთიდან.

შინაგანი და ბავშვთა ავადმყ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპ. 36, ტელეფონი 388. 25—1442—5

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—85)

## ექიმი ვ. მუსხელიშვილი

სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარეშ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მიხაკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა. (3)

## ექიმი

მედიცინის დოქ. ვლ. გრ. ბოჟოვსკი

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნდა და ავადმყოფების მიღება განაახლა. შინაგან სნეულებათა მიღება მთავრდებით. ავადმყოფებს ღებულობს ყოველ-დღე, კვირა უქმის გარდა საღამოს 6—8 საათამდე კრილოვის ქუჩა N 7. (1—1454—1)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის განჯის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მოისე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

კალმიკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველდღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

ხუდონოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვტოზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ისხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა ?. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—83)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ს. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხოშტარევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

## წამლობა „606"-ით.

(წო.—1090—136)

## ექ. ელიზბაროვ-ჭანტურიასი

კბილ სა ქალი

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. კვირა-უქმეებში მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.

ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—1)

## გამოვიდა და იყიდება

ქ. შ. წ.-კ. გ. საზ. წიგნის მაღაზიაში, სოხიკო მერკვილაძესთან, საქართველოს ყველა ქალაქებისა და დაბების წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე სადგურებზედაც

## ალ. თუთაევის

ახალი თხზულება:

„მ ე ო რ ე ქ ა ე ნ ი",

დრამა სამ მოქმ.

და ეპილოგი. ფასი 30 კ. იქვე იყიდება ამავე ავტორის შემდეგი პიესები:

„ცოლი ვიტირო, თუ ფული", ფასი 15 კაპ.

„უმარილოს ბრალია", ფასი 10 კ.

„ბედმა მილალატა", ფასი 20 კ.

„უზნო არშიყი", და ვოდევილი

„ხოფიო" 20 კ. ყველა პიესები ნებადართულია წარმოსადგენად. (10.13975.)

## ვასწავლი

ქართულ სიმღერა-გალობას

გუნდისთვის

მიდება 1 მარიამობისთვიდან 15 ენკენისთვემდის. აბჯაღის მოედანი № 11. სახლი ჩემოდანოვისა, ოთხშაბათობით და პარასკევობით 4—6 საათამდის. (10—1424—5)


## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი 15 აგვისტოს ტფილისში დაბრუნდა.

✦ გ. დ. ჟურული, ქალაქის გამგეობის წევრი, რომელიც დასასვენებლად იყო წასული, უკვე დაბრუნდა ტფილისში და თავის თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

✦ მეპურეები ხელახლა შუამდგომლობენ ქალაქის გამგეობის წინაშე, პურის ნიხრს მოუმატეთ, რადგან ახლა ვზარალობთო.

✦ დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე კავკასიაში 26 აგვისტოს ჩამოვა.

✦ ახალ კლუბში 16 აგვისტოს საოჯახო საღამო გაიმართა, რომელსაც ხალხი ბლომად დაესწრო. თეატრში პირველად წარმოდგენილი იქმნა ვოდევილი „დათვი" და შემდეგ ვანო სარაჯიშვილისა და ბროჯის მონაწილეობით საკონცერტო განყოფილება გაიმართა. ბ-ნმა სარაჯიშვილმა, სხვათა შორის, ქართულად შეასრულა ოპერა „დალატიდან" ერეკლეს არია, რითაც ხალხი აღტაცებაში მოიყვანა.

✦ წეროების გადაფრენა. 15-დან 16 აგვისტოს ღამით დიძალი წერო გადაფრინდა ტფილისს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ასეთი ნაადრევი გადაფრენა ნაადრევ და ცივ შემოდგომის ნიშანია.

✦ არქიმანდრიტი ანტონი, რომელიც ბოდბის მონასტრის დასათვალიერებლად იყო წასული, ტფილისში დაბრუნდა.

✦ ტფილისიდან საზღვარგარეთ წასულნი ტფილისში ნელ-ნელა ბრუნდებიან. ტფილისში შედარებით აგრილდა.

✦ სკამები უკვე დასდგეს გოლოვინის პროსპექტზე.

✦ სასანიტარო კომისიამ, ექიმის ვ. ა. მირაქოვისა, ბაზრის ზედამხედველ ესტ. გიორ. ლომიძისა და სხვათა მონაწილეობით, 13 და 16 აგვისტოს მეთორმეტე და 10 საპოლიციო უბანში სავაჭრო-სამრეწველოები დაათვალიერა. ყველგან შესაფერისი განკარგულება მოახდინა. ძრავალი უვარგისი ხილეულობა და ბალეულობა მოსპო.

✦ ტფ. საჯარო ბიბლიოთეკისა და მუზეუმის ახალ შენობის აგების საკითხი პეტერბურგში უკვე გადაუწყვეტიათ. სახალხო განათლების სამინისტროს ამ საქმისთვის 315,000 მან. გადაუდვია.

✦ სინოდის ბრძანებით დათხოვნილ იქმნენ ტფ. სემინარიის ეკონომი მღვდელი ჯაოშვილი და სემინარიის ეკლესიის მღვდელი ლაბაძე. მათს ადგილას რუსები დანიშნეს.

✦ სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის გამგეობას ჯერ საბოლოოდ არა აქვს გადაწყვეტილი, როდის დაიწყოს წარმოდგენების სეზონი. ჯერ იყო და გამგეობის წევრმა არ. ავალიშვილმა წევრობას თავი დაანება,

რეგისორად ბუდუ მდივნის არჩევის შემდეგ. ახლა გამოირკვა, რომ ბ-ნი ბუდუ მდივანი რეგისორობის უარს ამბობს. გამგეობას 21 აგვისტოს კრება ექნება ამ საკითხისა და სხვა შინაურ საქმეების განსახილველადა და გამოსარკვევად.

✦ **ვაზის სანერგეების დასათვალიერებლად** პეტერბურგიდან მოკლე ხანში სპეციალისტი-აგრონომი ჩამოვა, რომელიც ადგილობრივ გადასწყვეტს აგრეთვე საკითხს, სახაზინო მამულებში ამერიკულ ვაზების სანერგეების გაფართოვებისას.

✦ **მიწად-მოქმედების დეპარტამენტს** განზრახვა აქვს, ქუთაისის გუბერნიაში სამაგალითო ბაღი (ხილნარი) გააშენოს. ადგილის ამოსარჩევად მოკლე ხანში მცოდნე პირთ გამოჰგზავნის პეტერბურგიდან.

✦ **წყალთა ინსპექტორის** წინაშე გორის მაზრის სოფელ დუესისა, ქახვრელისა, გრაკლისა და ყარაღაჯის მცხოვრებნი შუამდგომლობენ, ინჟენერი-ჰიდრავლიკი გაუგზავნოს იმ ადგილების გამოსაკვლევად, საიდაც მტკვრიდან არხით წყალი უნდა იქმნეს გაყვანილი მიწების მოსარწყავად.

✦ **ტფილისში ბუნებისმეტყველთა მეცამეტე კრების** მოწყობას ზოგიერთი დაბრკოლება ელოდება; ამ საქმის თაობაზე, სექტემბრის დასაწყისში საქალებო უმაღლეს კურსების შენობაში სამეცნიერო საზოგადოებათა და დაწესებულებათა წარმომადგენლების კერძო თათბირი მოხდება.

✦ **საბჭოს სან.-ნიტარო** ექიმმა ფომინა ოსიპოვისამ ქალაქის საქიმიო ლაბორატორიაში ფქვილის რამდენიმე ნიმუში გაჰგზავნა გამოსაკვლევად, რომელიც ოლღას ქუჩაზე მდებარე ისლამ მაჰმედოვის ფქვილის მაღაზიიდან წაიღო. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ფქვილი უვარგისი ყოფილა, რადგანაც შიგ ბლომად ურევია ქატო და მწარე გემოც გაჰკრავს. 19 ტომარა ფქვილი მოსპეს.

✦ **ქალაქის გამგეობამ უკვე დაასრულა ამომრჩეველთა წინასწარ სიის შედგენა და 20 აგვისტოს გამოაქვეყნებს.** სიები გამოკიდული იქნება წასაკითხავად ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო აგენტების კანტორებსა და აგრეთვე ყველა საპოლიციო განყოფილებაში. სიებთან ერთად მოთავსებულია ყველა საჭირო ცნობები.

✦ საბჭოს სასანიტარო ექიმმა ნათიშვილმა ქალაქის საქიმიო ლაბორატორიაში გაჰგზავნა მადნეულისა და ხილეულის წყლების ნიმუშები, რომელიც ა. ი. ელიზბარიანცის „პროგრესი“ და „კონკურენცი“-იდან წაიღო. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ წყალში ბევრი მავნე ნივთიერება ურევია, რის გამო წყალი სასმელად უვარგისად იცნო.

✦ **ჟურნალი „მოსავალი“.** რედაქციამ მიიღო ჟურნალი „მოსავალი“, მე-16 ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია წერილები ვ. რცხილაძისა, დ. ღ—ძისა, გ. თაქთაქიშვილის და ი. ახალაიასი.

### ყველი ამბავი

✦ 16 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, რეუტოვისა და ელისაბედის ქუჩის კუთხეში მდებარე მუსერიძის თი-რნეში შესულა შანშაძაროვი და ფული წაურთმევია. მძარცველი შეიპყრეს.

✦ 12 აგვისტოს სოფ. მოხისის მცხოვრები 4 გზის დარაჯი ილია სვანიძე რკინის გზის სამართველოდან ფული მისაღებად ტფილისში ჩამოსულა. გზაში მიხეილ ბასიშვილი შეხვედრია, რომელსაც უთქვამს, ფულის აღებაში დაგეხმარებიო, მაგრამ იმის გამოუცდელობით უსარგებლნია, ფული მიუღია და გაპარულა. პოლიციელებმა ბასიშვილი შეიპყრეს.

✦ 16 აგვისტოს ტფილისში 38 უპასპორტო შეიპყრეს.

### საზოგადოებანი და კრებანი

✦ **ტფილისის მომხმარებელმა საზოგადოება** „მომავალმა“ გახსნა ელისაბედის ქუჩაზე № 176, კანტორა, რომელიც ღიაა ყოველ დღე დილის 10-12 საათს და საღამოობით 5-7-დე; უქმე დღეებში კი 10-12 საათამდე.

✦ კავკასიის სას.-სამ. საზოგადოების დარბაზში (ალექსანდრეს ბაღი), დღეს, 18 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ქართ-ულ სას. სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მორიგი კრება, რომელიც განიხილავს შემოწირულ მამულებში სასოფლო სამეურნეო სადგურთა დაარსებისა და სხვა მორიგ საქმების საკითხს.

### სასამართლო

✦ **გიმნაზიელ ქამაროვის გატაცების საქმეს** კავკასიის სამხედრო სასამართლო 1 სექტემბერს გაარჩევს. როგორც ვწერდით, ამ საქმის გამო სამართალში მიცემული არიან: ნიორაძე, ჩაფაძე, მურვანიშვილი, ღამბაშიძე, ლონდაძე, ზურიტაშვილი, გორიძე, ლეჟავა და ნატალია გიგაური.

### რკინის გზაზე

✦ **ვ. ა. სავიცკი,** რკინის გზის კონტროლის მთავარი კონტროლიორი, რომელიც პეტერბურგს იყო წასული, უკვე დაბრუნდა ტფილისში. როგორც გაიგეთ, პეტერბურგში ბ-ნ სავიცკისთვის ნება დაურთავთ კონტროლის მოსამსახურეთა შტატი გააფართოვოს და მოსამსახურეთ ჯამაგირი მოუმატოს.

### სომხეთის ცხოვრება

✦ გამოვიდა სომხურ ჟურნალის „ტარაზის“ მორიგი ნომერი ვრცელი შინაარსით. ჟურნალში, სხვათა შორის, შედის წერილი „სახელ-განთქმულ“ დორენცის შესახებ, რომელიც თვით ბ-ნ რედაქტორს ტიგრან ნაზარიანს ეკუთვნის. მოყვანილია გერმანულ პრესის კავშირის თავმჯდომარის წერილი, სადაც იგი ნაზარიანცის შეკითხვას უპასუხებს, რომ საჭირო არ არის „მაგვარ“ ექსკურსანტის წერილებს ყურადღება მიექცეს, რინაიდან იმათი წერილები ფიზიკურ საზოგადოების აზრს არ წარმოადგენენ. ამავე წერილში გამოთქმულია ბ. ნაზარიანცის აზრი, „საიდან იგი კავკასიელებს და განსაკუთრებით საქართველოს და ქართველ თავადების პატივს იცავს. აგრეთვე განცვიფრებას გამოთქვამს, ვითომც ჰრინც ოლდენბურგსკის ნათქვამს აზრზე თავადების შესახებ.

✦ **ა. შიდლოსიანის მიერ დაარსებულ საღიტერატურო ფონდის** საშუალებით გამოსაცემ ნაწარმოებთა წარდგენის უკანასკნელი ვადა სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების საბჭოს დადგენილებით პირველ ნოემბერს დაინიშნა.

✦ ერევნის ციხიდან პოლიტიკური ტუსაღი ა. ქობზარიანცი გაქცეულა.

### ბაქო

✦ აღმოჩენილ იქმნა ყალბის ფულის ქარხანა. დამნაშავენი შეიპყრეს.

### ზუგდიდი

✦ **მორიგე ჯარის კაცი,** რომელიც საპყრობილეს ყარაულობდა, ვიღაც უცნობმა ტყვიით დასჭრა.

### განჯა

✦ **ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის თანაშემწეს** პოდპოლკოვნიკ გამყრელიძეს თავის საწოლში თოფი ესროლეს, მაგრამ ვერ მოარტყეს. მსროლელი მიიმალა.

### პროვინცია

✦ **სოფ. ცხინვალი** (ტფილისის მაზრა). 18 წლის ქალიშვილი საბედა აბაიათარი და მისი ამხანაგები: ჰოდა და სოფიო აბაიათრები და ანნა ბექაური ტყეში ჟოლოს საკრებად წავიდნენ. ტყეში მათ დაუხვდნენ სოფ. ამლივის (ტფილ. მაზრა) მცხოვრებნი ალექსი ბექაური, კარპე ბექაური, შაშა აბწიაური და სხ. სულ შვიდი კაცი და საბედა გაიტაცეს იმ მიზნით, რომ შაშა აბწიაურზე ჯვარი გადაეწერათ. მეორე დღეს მანგლისის სტრაჟმა დაიჭირა საბედა დედიში იმალებოდა. შემდეგ სოფლისაკენ გამართონ და დამნაშავეთა სახლებს ხნრკა დაუწყეს. ერთის სახლიდან უეცრად თოფის ხმა მოისმა. დამნაშავენი შეიპყრეს. ერთ სახლში ორი თოფი ნახეს. საბედა მშობლებს დაუბრუნეს. გამოძიება სწარმოებს.

✦ **სოფ. ენისელი** (თელავის მაზრა). დღეგან ხოსრო შვილის ფართლეულობის დუქნიდან უცნობ ბოროტმოქმედთ 700 მან. ფის საქონელი მოიპარეს.

✦ **სოფ. შილდა** (თელავის მაზრა). ზაქარია დევანოზიშვილმა თოფით თავისი ბიძაშვილი იური დევანოზიშვილი მოჰკლა. მკვლელი შეიპყრეს, მკვლელობის მიზეზი ვერ გაუგიათ.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ახალ ამბავში შეცდომით იყო მოხსენებული: „ოზურგეთის ქალაქის მოურავად ასახელებენ ხოლაბერიძეს“. უნდა იყოს: სულაბერიძეს.

## ჟურნალისტის დღიური

### 40.

#### ჩემი პასუხი.

ბ-ნი ტ. კახიძე თავს იმართლებს. ეს ორი-სამი დღეა ჩვენს გაზეთში იბეჭდება საპასუხო წერილი ბ-ნი კახიძისა, რომელსაც ჰსურს მკითხველს საქმის ნამდვილი ვითარება გააცნოს. განზრახვა საპატიოა, მაგრამ იგი მაინც მიზანს ვერ აღწევს. ისეთი მკითხველიც კი, რომელმაც სრულიად არაფერი იცის კავკასიის სკოლის მდგომარეობის შესახებ, მარტო ბ-ნ კახიძის წერილის წაკითხვით დარწმუნდება, რომ მისი თავის მართლება ძალიან მჩატე ნიადაგზეა აშენებული. შორიდან დაიწყო ბ-ნმა კახიძემ, კავკავის სკოლის მთელი ისტორია გვიამბო, მაგრამ ბოლოს სრულიად დაუსაბუთებლად ის-ღა სთქვა, რომ კავკავის სკოლის მასწავლებლები ან ინტრიგანები არიან, ან ზარმაცები, ან ლოთები. თავისი თავი კი ძალიან განდიდებულად წარმოუდგენია. პირადად ბ-ნ კახიძეს არ ვიცნობ, დღემდის ვერც იმას ვიტყვი დანამდვილებით, რამ გამოიწვია უთანხმოება ადგილობრივ საზოგადოებისა და ბ-ნ კახიძის შორის, მაგრამ დღეის შემდეგ, როდესაც მან თავისი წერილი დაბეჭდა, ცხადი ხდება მიზეზი უთანხმოებისა. ადამიანს, რომელსაც ისეთი წარმოდგენა ჰქონია თავის თავისა, რომ თუ თვითონ არ არის, საქმე ცუდად წავა, ან, ყველანი, ვინც მის გარშემო იმყოფებიან, ლოთები და ზარმაცები არიან,—ასეთი ადამიანი, ვერავითარ წესიერებას ვერ დაამყარებს და მოქმედებასაც სასურველ მიმდინარეობას ვერ მისცემს. ჩვენ ვწერდით, რომ ბ-ნი კახიძე კავკავის ქართველ საზოგადოების წინააღმდეგ ამხედრებულა. ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა ბ-ნ ასიკოს კორესპონდენციამ, და ჩვენც ამ კორესპონდენციით ვსარგებლობთ. ბ-ნი კახიძე ჩვენს კორესპონდენტს ეკამათება, მაგრამ თვით ამტკიცებს, რომ ბ-ნი ასიკო ცამდის მართალი ყოფილა. გულ-დასმით გადიკითხე, მკითხველო, ბ-ნ კახიძის საპასუხო წერილი და დარწმუნდები, რომ კახიძე ყველას უკმაყოფილებას უცხადებს. ბ-ნ შვილევს თავმჯდომარეობასა არაფერი გაეგება, ბ-ნი ნათაძე ინტრიგანია, სხვები ზარმაცები არიან.—აი მთელი შინაარსი ბ-ნ კახიძის თავის მართლებისა მაგრამ ეს ხომ სუბიექტიური მსჯელობაა, ისეთი საბუთებია, რომელნიც არავისთვის არ ჩაითვლება სავალდებულოდ.

ჩვენთვის ამ ლანძღვა-თრევას არავითარი ფასი არა აქვს. თუ აღვნიშნეთ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი თვით ბ-ნ კახიძის ფიზიონომიის საუცხოოდ დამახასიათებელია.

რაიცა შეეხება იმ ფაქტიურ მასალას, რომელსაც ბ-ნი კახიძე გვაცნობს თავის გასამართლებლად, იგიც ვერ არის დამაკმაყოფილებელი. მოყვანილ დოკუმენტებიდან მხოლოდ ისა სჩანს, რომ, სანამ კავკავში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილება დაარსდებოდა, ბ-ნი კახიძე სკოლის გამგედ ითვლებოდა და კიდევაც საჭირო იყო იგი. მაგრამ ამის შესახებ მას არავინ ეკამათება. საკამათო მხოლოდ ის იყო, რომ ბ-ნი კახიძე ახალს წესებს არ დაემორჩილა და გამგებლობა არ გადასცა იმას, ვისაც წესით ეკუთვნის: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების გამგეობას.

ბ-ნი ასიკოც ამის თაობაზე სწერდა. ის გარემოება, რომ მთავარმა გამგეობამ გვიან დაადგინა ეს, და კავკავში კი ადრე ლაპარაკობდნენ, მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ იქ სწორედ შეუხედავთ საკითხისთვის და თავის დროზე მოუსურვებიათ ახალ მდგომარეობის შესაფერ პირობების დამყარება. ეს ცხადია ყველასთვის, გარდა იმისა, ვისაც ფორმალური კაზუისტიკა უფრო აინტერესებს, ვიდრე საქმის შინაარსი.

ვერც ის ჩაითვლება საბუთად, რომ გამგეობის მიერ მოწერილ ქაღალდზე აწერია: „სკოლის გამგეს“, ესეც მხოლოდ უბრალო ფორმაა. და რომ ეს ასეა, ნათლადა სჩანს იმ დადგენილებიდან, რომელიც მთავარმა გამგეობამ გამოიტანა და რომელიც, საუბედუროდ, ისე არ გამოუცია საზოგადოების მდივანს თქვენთვის, როგორც საჭირო იყო. აი, სიტყვა სიტყვით მთავარ გამგეობის დადგენილება: „გამგეობამ მოისმინა გამგეობის წევრის ლ. ბოცვაძის მოხსენება კავკავის სკოლის რევიზიის შესახებ და დაადგინა: მიეწეროს **განყოფილების გამგეობას (და არა გამგეს),** რომ სკოლის ზედამხედველობა მისი მოვალეობაა, თანახმად საზოგადო წესდებისა და ინსტრუქციისა: დაევალოს ადგილობრივ განყოფილების **გამგეობას** (და არა გამგეს) შეიმუშაოს დაწვრილებითი ინსტრუქცია სკოლის მართვა-გამგეობისათვის. მიენიჭოს განყოფილების გამგეობს და ეცნობოს გამგესაც, რომ ძველი ინსტრუქცია კავკავის სკოლის მართვა-გამგეობისა მთავარ გამგეობის მიერ გაუქმებულია. **გამგეც განთავისუფლებულია თავის თანამდებობიდან**“.

აი, სიტყვა-სიტყვით დადგენილება გამგეობისა. ეხლა მკითხველისთვის მიმინდვია გამოარკვიოს, [illegible] ჩვენში მტყუანი და ვინ [illegible]

**შინაური.**

## ა. შანშიაშვილის კოლხეთის საუნჯის გამო

„კოლხიდი“-ს მე-101 და 102 ნომერში მოთავსებულია პირველი ნაწილი—**ფრიქსის და ელეს თავგადასავალი**—იმ თქმულებისაგან, რომელსაც შინაარსად აქვს მედეის და მშვენიერის ელენეს მოხიბლავი ზღაპარი.

ამ თხზულებამ ჩვენს ახალგაზრდა პოეტს შეიძლება სახელი გაუთქვას, ყველაზე უფრო მათ შორის, რაც აქნობამდე დაუწერია, თუ თქმულების ორი ნაწილიც მედეის და იასონის გამიჯნურება და მედეას და მშვენიერი ელენეს შეხვედრა ისეთივე ხელოვნებით შეამუშავა.

მაგრამ იძულებული ვარ, პატარა რამ შევნიშნო და მით გავაფრთხილო თუ ნიჭიერი ავტორი არა, სხვა ჩვენი ახალგაზდა პოეტები მაინც.

ავტორს კოლხეთის საუნჯეში ერთს ადგილას ნათქვამი აქვს:

> ფრიქსის და ელეს მშობელი,*)
> ღმერთებსა ეურჩებოდა,
> **ხალხისთვის ცეცხლის მომტაცს**
> ამირანს ესარჩლებოდა.

ამირანი არ ყოფილა **ხალხისთვის ცეცხლის მომტაცი.** ჩვენმა საყვარელმა სანდრომ აქ გაიმეორა პოეტური ქორი, რომელიც გავრცელა ჩვენმა სახელოვანმა აკაკიმ მაჯისცემის ამირანის ლექსით და რომელმაც ქართველთა ძირითად თქმულებას უკუღმართი განმარტება მისცა, რადგანაც პოეტმა ბერძნების პრომეთე ამირანად მონათლა. პოეზიაში ტყუილი ძველადვე მიღებული იყო, ასე რომ იტყოდნენ, პოეტნი ჰსტყუვიანო, მაგრამ არ ივარგებს, პოეტმა ტყუილი ხელწამოსაკრავად გაიხადოს. პოეზიისათვის ის სიცრუეა კარგი, რომელიც სიბრძნეს ჰბადებს.

აი რა ითქმის ამირანისა, როცა მის ვითარებას ღრმად შევისწავლით.

ვიდრე ქართველობა ჯერ არ იყო თემ-თემად დაყოფილი და ერთ ოჯახს წარმოადგენდა, ამირანის თქმულება ერთიანი უნდა ყოფილიყო, ერთი დიდი ამბავი. დღეს კი ამირანის ლექსი ვარიანტებად შეუნახავს ჩვენი ერის სხვა და სხვა თემსა და რაც ერთის თემის თქმულებაში აკლია, ის მეორისაში იპოვება.

ამირანი, დღევანდლამდე მიღებული აზრის თანახმად, ჰგონიათ იყვეს ირანის ღმერთი არიმანი, რომელიც იყო ბოროტი, სიბნელის ღვთაება და ებრძოდა აჰურ-მაზდს, ანუ ორმუზდს, კეთილს, სინათლის ღმერთს, ქართულად არმაზს.

ამირანი აგრეთვე ჰგონიათ, იყვეს ბერძნების ღმერთი პრომეთე, რომელმაც ღმერთებს ცეცხლი მოჰპარა, ასწავლა ხალხს მისი ხმარება, რისთვისაც კავკასიის კლდეზე მილურსმულ იქმნა.

*) ნეფელა.

## ცოტა რამ ხელოვნების შესახებ

ამბობენ, ხელოვნებამ სინამდვილე უნდა გამოჰსახოს და იგი უნდა ემსახურებოდეს და ექვემდებარებოდეს ამ სინამდვილეს. რამდენიმედ მართალია ეს აზრი. ხელოვნება მართლაც და ჰსახავს სინამდვილეს, ხოლო მის მიერ დასახული სინამდვილე არასოდეს არ არის ფოტოგრაფიული ასლი რეალურ სინამდვილისა. ხელოვნება, რასაკვირველია, ემსახურება სინამდვილეს, ცხოვრებას, მაგრამ ეს სამსახური არ არის ძალდატანებითი, შეცნობილი, არამედ შეუმცნობელი და თავისუფალი.

როგორც ჩვენი ცოდნა სინამდვილისა არ არის ის, რაც არის თვით სინამდვილე, არამედ **ჩვენი წარმოდგენა** სინამდვილისა, მით უმეტესად ხელოვნება არასოდეს არ არის მარტოდ ის, რაც არის სინამდვილე, არამედ ზედ მეტი რამ, რაც სინამდვილეში არ არის. და რაკი ხელოვნება ზედ-მეტია, ვიდრე სინამდვილე, ამიტომ ადვილად მისახვედრია ის, თუ ხშირად რატომ სცილდება ხელოვნება ემპირიულ მოვლენათა ფარგალს და რატომ სცდილობს ესთეტიურის ხილვის საშუალებით დაგვანახვოს ის, რაც სინამდვილეში არ არის.

ხელოვნების განსაზღვრის დროს ერთი დარგი ხელოვნებისა კი არ უნდა გვქონდეს მხედველობაში, არამედ ესთეტიურის შემოქმედების ყოველი დარგი—პოეზია, მხატვრობა, პლასტიკა და მუსიკა. სიტყვა, ფერადები, მარმარილო და ხმა—ყოველივე ეს იარაღია ესთეტიურის შემოქმედებისა. ამის მიხედვით ზოგი დარგი ხელოვნებისა, ასე ვსთქვათ, ხორც-შესხმულია, როგორც არის, მაგალითად პლასტიკა. ზოგი დარგი კი სრულიად მოკლებულია ამ ხორცშესხმულებას, როგორც არის მუსიკა. და თუ პლასტიკის შესახებ კიდევ ითქმის, რომ იგი სინამდვილის გამომსახველია, მუსიკას ამ განსაზღვრით ვერ მიუდგებით, რადგან იგი სულიერი განწყობილების, ადამიანის გუნების ზრახვაა. ეს ზრახვა და სულიერი განწყობილება შეიძლება იყოს გამოწვეული სინამდვილის ხილვით და განცდით, ხოლო შეიძლება არ იყოს, რადგან მუსიკალური გამოსახვა სიყვარულისა და რელიგიური აღფრთოვანებისა უკვე ჰკარგავს კავშირს კონკრეტიულ სინამდვილესთან. მუსიკა ხელოვნების ერთი იმ დარგთაგანია, რომელსაც ვერ მიუდგებით ნატურალისტურის საზომით. გაუგებარი დარჩება თქვენთვის ვაგნერი, ბეთხოვენი და ყოველი სხვა დიდი კომპოზიტორი, უტილიტარულ-ნატურალისტური მოთხოვნათა დაკმაყოფილება რომ მოსთხოვოთ ამ მუსიკას. რაც შეეხება ცეკვას, თამაშს და რითმიულ რხევის საშუალებით ესთეტიური სიამოვნების აღძვრას—იგი ხომ სრულიად გაუგებარი დარჩება თქვენთვის. და თუ ნატურალისტური საზომი მუსიკალურ შემოქმედებას ვერ საზღვრავს, მაშასადამე ხელოვნების დეფინიციისათვის საჭიროა უფრო ფართო მცნება, ვიდრე მცნება სინამდვილისა და ამ სინამდვილის სამსახურისა.

ამ მხრივაც რომ შევხედოთ საგანს, სწორედ რომ გაჰკვირდებით, როდესაც გაიხსენებთ ჩვენს საზოგადოებასა და მწერლობაში გამეფებულ უტილიტარულ აზრებს ხელოვნების შესახებ. ამ უტილიტარულ ფილოსოფიის მთავარი დებულება ის არის, რომ ხელოვნება უნდა ემსახუროს ადამიანს მის ბრძოლაში მოქალაქობრივ და სოციალ-პოლიტიკურ ასპარეზზე. თუ ხელოვნება ბრძოლისაკენ არ იწვევს ადამიანს, თუ იგი მაშვრალთ და დაჩაგრულთ არ იცავს, თუ იგი არ ლაპარაკობს იაფ ფასიან სადგომების და რვა საათიან სამუშაო დღის შესახებ, თუ ყველა ეს არ ისახება ხელოვნებაში, იგი სუსტია, უვარგისი და მას არავითარი ფასი არა აქვს. ამბობენ, ხელოვნება უსათუოდ დროსა და სივრცეში უნდა ტრიალებდეს და მისი აზრი ყოველთვის უნდა იყოს ადამიანის მოქალაქობრივი და სოციალ-პოლიტიკური ბედნიერებაო.

თქმა არ უნდა, რომ ხელოვნებას მდიდარი მასალა აქვს თავის შემოქმედებისათვის დროსა და სივრცის ფარგალში, და რომ ადამიანის ტანჯვაც ღირსია ამ შემოქმედების ყურადღებისა, მაგრამ მოწყვდევა ხელოვნურ შემოქმედებისა ამ ფარგალში—აღიარებაა იმ თავ-მომწონე და ბრმა შეხედულობისა, ვითომ ადამიანის სიცოცხლეში უკვე ყოველივე გაზომილი და ცნობილია, რომ ფაქტებისა და ხელშესახებ საგანთა გარდა აღარაფერია ამ ქვეყნად, რომ ის, რასაც თვალი ხედავს, დროსა და სივრცეში არის ერთადერთი და უკანასკნელი სინამდვილე, მომწყვდეული საზღვრებში, მოკვეცილი და ვიწრო სარეცელში ჩამჯდარი. აღიარება ამ აზრისა—ხელის აღება იქნება ადამიანის სულიერ შემოქმედებაზე, რომელიც სინამდვილესთან შედარებით გაცილებით უფრო მდიდარია თავისი შინაარსით. ეს იქნება სიკვდილი იმ სულიერ შემოქმედებისა, რომელსაც მარტო ის არ ასულდგმულებს, რაც უკვე გაზომილი და ცნობილია, არამედ ისიც, რაც უცნობი და გაუზომავია. მოაცალეთ სიცოცხლეს საიდუმლოება და იგი გახდება უფერული, მკრთალი, მოსაწყენი და „უაზრო“. დაამწყვდიეთ ხელოვნება „საგანთა სამეუფოში,“ აუკრძალეთ მას საიდუმლოების ჭვრეტა და ხილვა, იგი მკვდარი გახდება და თავის სიკვდილთან ერთად მოჰკლავს პოეზიას და ოცნებას. ოცნება ხინამდვილე არ არის და თუ გინდათ, რომ ხელოვნება უსათუოდ სინამდვილე იყოს, ოცნების ფრთებიც უნდა მოაჭრათ ხელოვნებას და მაშინ იგი სამზარეულოში მომზადებული ბოზბაში იქნება და არა ესთეტიური შემოქმედება.

მოუარეთ ახლა საგანს სხვა მხრიდან. დააკვირდით ესთეტიურ შემოქმედების პროცესს და თქვენ აღმოაჩენთ, თქვენდა განსაცვიფრებლად, რომ ეს პროცესი უღრმესი სტიქიური სიცოცხლის მოვლენაა, რომლის განმარტება და ახსნა არც ისე ადვილი საქმეა. თავდაპირველად, აშკარაა, რომ ესთეტიურ შემოქმედებას თავისი განსაზღვრული კანონი აქვს, რომელსაც იგი ექვემდებარება და რომლის შეცვლა და გარდაქმნა ჩვენ ხელთ არ არის. დააკვირდით აგრეთვე ეგრედ წოდებულ სალიტერატურო ტიპების შექმნის პროცესს. რა არის ტიპი? სინამდვილეში არსებულიპ იროვნება? არასოდეს. სინამდვილეში თქვენ ვერ ჰპოვებთ სალიტერატურო ტიპს

არც ერთი აზრი არ არის შესაწყნარებელი. ერთად ერთი საბუთი ამირანის ზღაპრის ასე ახსნისა, ჩვენი სურვილი იყო, სხვა არაფერი.

ბერძნულ ზღაპარში პრომეთე კლდეზეა მილურსმული, მიჯაჭვული, ქართულში კი ამირანი მთის მღვიმეშია ჯაჭვით ბოძზე დაბმული. პრომეთემ ის დაიშავა, რომ ღმერთებს ცეცხლი მოჰპარა, მერერე კი ის, რომ არსებობისთვის ბრძოლით გამარჯვებულს თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა, კიდევ ვინმე გაეგო დაუმარცხებელი და უფალს გაუბედა ბრძოლა. ისცადა განგების დამორჩილება, მაგრამ იძლია.

მიჯაჭვული ამირანი
იყო მტერი დევებისა;
ჯავრი სჭირდა მჭედლებისა,
დალაქების, ქალებისა.
მარტო მათი ბრალი იყო,
თუ ამირან იტანჯებოდა.
მათი გულის წადილი იყო,
თუ ამირან საბნელას ჯდა.
ეწადდა, სისწორ-სიმართლე
ქვეყანაზე დაეთესა;
ხალხისთვის პური რძიანი,
არ სისხლიანი მიეცა.

ამირანს მხოლოდ ეწადა, ცდილობდა, სისწორ-სიმართლე და რძიანი პური მიეცა, მიენიჭებინა ხალხისთვის. რასაკვირველია. ასეთი საწადელი სასიამოვნო არ იყო დევების, ძალთა პირებისთვის, რომელნიც ჰქამდნენ უმწეო ქვეყანას, მაგრამ მისი სასჯელის მიზეზი იყო უფლის, განგების გამოწვევა საბრძოლველად, რათა დაემორჩილებინა. მეტი არაფერი. ყორანი იქ გულს უწიწკნიდა პრომეთეს, აქ კი ემსახურებოდა ამირანს და საზრდოდ ერთ მინა ღვინოსა და ერთ პურს აწვდიდა. მართალია, პრომეთეც, ამირანიც კავკასის მთაში იხდიან სასჯელსა, მაგრამ ზოგიერთის აზრით კავკასი ინდოეთშიაც იყო.

ამირანი, ჩვენის აზრით, არის ეპონიმი ივერის, ანუ იმერისა, როგორც ქართლი ქართლისა. ივერი, სომხურად ვირ და სპარსულად ბვირ, სხვაფრივი სახეა ურ სიტყვისა. ურ მონათესავე იყო ქართუ ხალხისა, ძველად ორივე ერთად იხსენიებოდა ურ-ქართუ, ანუ ურ-ქართ (ur. Hald). ურ-ქართ იხმარებოდა მრავლობითად ურნ ქართნ (შემდეგში არან ქართლ) ისე, როგორც სომხური გამოთქმა ქართველ სომეხთა სახელწოდებისა ვირქ (ივერნი) ჰაიქ (სომეხნი).

ამირანიც მრავლობითი რიცხვისაა, სხვაფრივი სახე იმავ ურის, ავირისა (ვ=მ=ბ) და იხმარება სახელკრებულ ეპონიმად ურისა (იმერისა), ისევე, როგორც ქართნი (ნ=ლ) ანუ ქართლი ქართლისა.

ამირანის ზღაპარი წარმოადგენს იმ დროს, როცა ერი ბინადრობის დასადგენად ებრძოდა ქაჯებს და დევებს; ქართლის თავგადასავალი კი ხალხს აღარ ახსოვს და მხოლოდ მატიანეში შეუტანიათ მოკლედ, რაც გაუგონიათ. ქართლის დრო ბინადადებული ერის ცხოვრებას წარმოადგენს, როცა ქვეყანა უფრო მოსვენებულია და ხალხი იწყებს ქალაქების და ციხე სიმაგრეების შენებას.

ამნაირად ამირანი და პრომეთე ერთი და იგივე კი არა, სხვა და სხვა ზღაპარია სხვა და სხვა ხალხის შექმნილი. ამირანის ზღაპარი თავდაპირველად ურის (იმერის) თემის ყოფილა, მაგრამ თავისი დიადობით შემდეგ მართლად ერის საკუთრებად გამხდარა. სულ ბოლოს კი, დროთა განმავლობაში, ჩვენი ერის თვითეულ თემს თავისი ელფერი მიუცია.

ამირანის თავგადასავლისა ოცდა შვიდი ხალხური ამბავი მაქვს შეკრებილ-აკინძული და არსად არის ნათქვამი, ამირანს ღმერთებისათვის ცეცხლი მოეპაროს; ცეცხლის მოტაცება ხომ არც ბერძნულ ზღაპარშია.

**პეტრე მირიანაშვილი**

## ხმა გურჯაანიდან

(შიდა-კახეთი)

ამ ბოლო დროს, რაკი სარევიზიო კომისია აირჩიეს, გურჯაანის სასოფლო საქმეებს პირ-ბადე აეხადა.

ივლისის ნახევრებში სარევიზიო კომისიამ სასოფლო ყრილობაზე ანგარიშები გამოაქვეყნა და სოფლის წვრილ-ფეხა მოხელეთა საქმეები გამოამზეურა.

გარინის როლი, ამ შემთხვევაში, მღვდელს გერასიმე ქანტურიძეს ერგო, რომელიც სოფლის მოხელეთა სიავ-კაცეს კრიჭაში ჩაუდგა.

ანგარიშებიდან აღმოჩნდა:

**1908 წ.** 1) ხარჯის ამკრეფს ბაგრატ ბეჟარაშვილს ხაზინაში შეუტანია 694 მ. 85 კ.—ნაცვლად 722 მ., მასთან რჩება 27 მ. 15 კ.*) 2) ხარჯის ამკრეფ ილიკო ყანბეგაშვილს ხაზინაში 631 მ. 2 კ. მაგიერ 615 მ. შეუტანია. რჩება 16 მ. 2 კ. 3) იოსებ ზარდიაშვილს 1250 მ. 50 კ. მაგიერ ხაზინაში შეუტანია 1189 მ. 18 კ.—რჩება მასთან 61 მ. 32 კ. 4) იმავე 1908 წ. სოფელს გაეწერეს ფოსტა ტელეგრაფის დასაარსებლად 950 მ.

ამ ფულის უსასყიდლოდ აღება იკისრა ილია ნიბლაძემ, განო ქიტიაშვილმა და ილია სეფიაშვილმა, მაგრამ გამოირკვა, რომ ჯამაგირი აუღიათ: ნიბლაძეს 20 მ. ქიტიაშვილს 20 მ. სეფიაშვილს 30 მ. შეწირულება ყოფილა 93 მ. გამოვაკლოთ 70 მ. ჯამაგირი—დარჩება 23 მ., რომელიც ილია ნიბლაძესთან დარჩა.

**1909 წ.** 1) ნათლის მცემლის უბანი, 210**) კომლი ივანე ქათამაშვილს 833 მ. 30 კ. მაგიერ შეუტანია ხაზინაში 714 მ. (ვერ აუღია 10 მ.) რჩება მასთან 109 მ. 30 კ.

2) ხევის უბანი, 190 კომლი. ალექსი რაქვიაშვილს 754 მ. 30 კ. მაგიერ შეუტანია 701 მ. 25 კ. რჩება 53 მ. 5 კ.

3) სახასო, 253 კომლი. იოსებ ზარდიაშვილს 1004 მ. 41 კ. მაგიერ შეუტანია 876 მ. 70 კ. რჩება 127 მ. 71 კ.

4) ძალდის უბანი, 90 კომლი. გიორგი ქადაგიძეს 357 მ. 30 კ. მაგიერ შეუტანია 345 მ. 45 კ. რჩება მასთან 11 მ. 85 კ.

სულ 1909 წ. რჩება 301 მ. 91 კ. აქედან 77 მ. 19 კ. მამასახლისს მიხა ჯოხაძესთან და 224 მ. 72 კ. ხარჯის ამკრებებთან.

1910 წელსაც ესევე მეორდება:

1) ნათლის მცემლის უბანი. მოსე ალხაზაშვილი და მელქო შანშიაშვილი 1698 მ. 40 კ. მაგიერ, ანგარიშში სჩანს 1623 მ. 8 კ.—ამათთან რჩება 75 მ. 32 კ.

2) სახასო. ნიკო ჯალაღონი. გაწერილი ყოფილა 2321 მ. 30 კ. ანგარიშში წარმოადგინა 2217 მ. 71 კ.—მასთან რჩება 103 მ. 59 კ.

3) ხევის უბანი. ზაქრო ბიკაშვილი. არ წარმოადგინა 4 მ. 74 კ. ანგარიში.

4) ძალდის უბანი. სვიმონ მანიჟაშვილი. არ წარმოადგინა 15 მ. 90 კ. ანგარიში. სულ ხარჯის ამკრეფთ რჩებათ 1910 წელს 199 მ. 55 კ.

მამასახლისს მიუღია ხარჯის ამკრეფთაგან 2614 მ. 23 კ. ანგარიში წარმოადგინა 2346 მან. 45 კ. რჩება მამასახლისს მიხა ჯოხაძესთან 267 მ. 78 კ.

ამასთანავე იყო 1909 წლის 77 მ. 19 კ. სულ მიხა ჯოხაძეს მიუსაკუთრებია სოფლის ფული 344 მან. 97 კ.

1908 წლის ხარჯის ამკრეფებთან დარჩა 127 მ. 49 კ., 1909 წლისა—224 მან. 72 კაპ. 1910 წლისა—199 მ. 55 კ. სულ შეადგენს 551 მ. 76 კ. ამას მიუმატოთ მამასახლისთან დარჩენილი 344 მ. 97 კ.=896 მან. 73 კ.

აი ეს დაკარგული ფული აღმოაჩინა რევიზიამ. თქმა არ უნდა, ეს წვეთია მთელი ჯამისა, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სოფელი შემდეგ მაინც უპატრონოდ აღარ იქნება. ბ-ნ მომრიგებელ შუამავლის ვალია რევიზიის ნამოქმედარს ანგარიში გაუწიოს, ეს ფული მიმთვისებელთ გადაახდევინოს და დამნაშავენი სამართალში მისცეს.

—

გურჯაანის სამკითხველოს შესახებ სამწუხარო ამბის მთქმელი ვარ. მკითხველს ეცოდინება, რომ ეს მეორე წელიწადია გურჯაანში საღამოები იმართება სამკითხველოს სასარგებლოდ. შარშან გამართულ საღამომ 280 მ. წმინდა შემოსავალი მოგვცა, წელს თებერვალში გამართულმა საოჯახო საღამომ 200 მანეთამდე, ამ ფულით და სხვა შემოწირულებით სამკითხველოს საკუთარი შენობა აიგო და წელს გაიხსნა კიდეც.

სამწუხაროდ ხალხი, ე. ი. გლეხობა, სამკითხველოს სათოფედაც არ ეკარება. სამკითხველო ღიაა კვირაში სამჯერ: ოთხშაბათობით და შაბათ-კვირაობით დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 ს. ვიმეორებ, ხალხი სრულებით არ დადის. მიზეზის გამოკითხვისას სოფლელთ სთქვეს, რომ სადაც გავაქსულ ჩექმებიანი ყმაწვილები არშიყობენ, ჩვენ იქ ყოფნა ხელს არ მოგვცემსო. სოფლელების პირით სიმართლე ლაპარაკობს: მართლაც, შეიყრება სამკითხველოში ჩვენი ყმაწვილ-კაცობა თუ ქალობა, უცხო ენასა ლაქლაქებს (ნეტა იცოდეს მაინც) და ერთმანეთს გაცვეთილ ქათინაურებს ესვრის, და ეს იმ სახლში, სადაც გლეხმა ცოდნის წყურვილი უნდა მოიკლას.

საჭიროა სამკითხველოს გამგეობაში გლეხებიც ჩაერიონ და უმეტესადაც, რადგან ინტელიგენციისგან შექმნილ საქმეს ეჭვის თვალით უცქერის გლეხობა.

აუცილებლად ეხლანდელმა გამგეობამ ამ სავალალო ამბავს ყურადღება უნდა მიაქციოს, მიზნად დაისახოს, რომ სამკითხველო საკითხავად იყოს და არა ჩვენი გადაგვარებულ უცხო ენით მოჟღურტულე ახალგაზდების გასართობ ადგილად.

**ივ. კარბელაშვილი.**

*) ჯამაგირი ხარჯის ამკრეფთ კომლზედ 25 კ. აქვთ და ეს ჯამაგირის გარდა არის აღებული.

**) მოხულ ზალხს გარეშეა ნაჩვენები ციფრები.

## მოწერილი ამბები

**თიანეთი.** 2 აგვისტოს, თიანეთში, ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ, ბ. შ. ჩოლოყაშვილის მეთაურობით წარმოდგენილ იქმნა ყაზბეგის სამმოქმედებიანი დრამა „არსენა". წარმოდგენამ საერთოდ ძალიან ცუდად ჩაიარა. მოთამაშეთ არავითარი შრომა და მეცადინეობა არ ეტყობოდათ, როლებიც კი არ იცოდნენ. ძალიან სამწუხაროა, რომ აქაური სცენის მოყვარენი ასე გულგრილად ეკიდებიან და აბუჩად იგდებენ ხელოვნებას. პიესის სრულიად დამახინჯება კარგი არ არის. სცენის მოყვარენი უნდა იცნობდნენ თავიანთ ძალას და იმის დაკვალად ირჩევდნენ პიესას. ხოლო თუ სურვილი აქვთ დადგან ისეთი პიესა, როგორც არის „არსენა", მაშინ მათ უფრო მეტი ენერგია უნდა დახარჯონ, მეტი დრო უნდა მოანდომონ პიესის შესწავლას და მის შინაარსის გაგებას. ესენი კი, როგორც ეტყობათ, არ არიან დაინტერესებულნი იმით, რომ თეატრი თავის უმაღლეს დანიშნულებას ემსახურებოდეს. ამათ თეატრის საქმე ხელობად გადაუქცევიათ და ოღონდ კი „თეატრი დადგან" და პიესის ძალის გაგებას კი არა სცდილობენ. დრამა „არსენა" თიანეთის სცენაზე თავისებურ კომედიას წარმოადგენდა. საზოგადოდ, წარმოდგენებს აქ უფრო ცირკისა და კლოუნობის ხასიათი მიუღია, თუმც ეს მათ განათლებას არ შეეფერება, რომელსაც იქამდის მიუღწევია, რომ ქართული ენა სრულებით განუდევნია და ვისაც ორი სიტყვა აქვს სათქმელი, აუცილებლად რუსულ ენით იწყებს დალაგს, თითქოს ქართული ენით აზრის გამოთქმა არ შეიძლებოდეს. საყურადღებო ის არის, რომ წარმოდგენები იმართება მხოლოდ აქაურ მოხელეთა და შეძლებულ მცხოვრებთათვის, ვინაიდან მათში მეტი სარფაა, და ხალხს, ე. ი. გლეხებს და ხელმოკლე ოჯახებს კი, არავითარ ანგარიშს არ უწევენ. წარმოდგენებს მართავენ არა იმიტომ, რომ ხალხს გონება გაუღვიძონ, ან რაიმე ახალი შეიტანონ მის ცხოვრებაში, არამედ თავიანთ პირად ინტერესებისათვის, დროს გასატარებლად, გასართობად, რომ წარმოდგენების მეორე დღეს პიკნიკები გამართონ და ზურნა-დალაბანდით იქეიფონ. ამიტომაც არის, რომ წარმოდგენის უკანასკნელი ბილეთი (ფეხზე ადგომა) 40 კაპ. და 30 კაპ. ღირს. აქაური სცენის მოყვარენი რომ ხალხის ინტერესებისთვის ჰფიქრობდნენ, წარმოდგენის ბილეთები 40 კაპ. კი არ უნდა იწყებოდეს და მანეთებით თავდებოდეს, არამედ 5 კაპ.—20 კაპ. მეტი არ უნდა ღირდეს. მაშინ მოხელეთაც და გლეხებსაც თანაბრად შეეძლებოდათ წარმოდგენის დასწრება. ბილეთების ფასი იაფი უნდა იყოს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც იმგვარი პიესას სდგამენ, როგორიც არის „არსენა", უეჭველად კარგად ვიცით როგორ უყვარს გლეხს „არსენა". მაგრამ განა ამავე დროს არ ვიცით ჩვენი გლეხის ავლადიდება და ისიც, რას შეადგენს მისთვის 40 კ. და კიდევ მეტი? თუმც ყველ წარმოდგენას სახელად „სცენის სასარგებლოდ", ან „ბიბლიოთეკის სასარგებლოდ" ჰქვიან, მაგრამ არც სცენას, და არც ბიბლიოთეკას გაუმჯობესებისა და მზრუნველისა არაფერი ეტყობა. სცენის საჭირებზე ხომ ლაპარაკიც მეტია, არც დეკორაციები, არც სხვა მოწყობილობა რამ, ხოლო რაც შეეხება ბიბლიოთეკას, იგი უკიდურეს მდგომარეობაშია: მის ავლადიდებას შეადგენს რამდენიმე წიგნი, მომტვრეული ნაწილი გამოუსადეგარი, და ორი გაზეთი: ქართული „სახალხო გაზეთი" და რუსული „ზაკავკაზიე". არც ერთი ჟურნალი, არც ქართული და არც რუსული აქ არ მოდის. კარგი იქნებოდა, რომ თიანეთის საზოგადოება ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას და დროგამოშვებით მაინც პატრონობას გაუწევდეს ხოლმე.

**დამსწრე.**

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 აგვისტო.

### საზღვარ-გარედ.

**სპარსეთი.**

**ლონდონი.** „მორნინგ-პოსტს" თეირანიდან ატყობინებენ: ბახტიარები, რომლებიც თეირანის მთავრობის მხარეზე იყვნენ, დამარცხდნენ; მათგან მოუკლავთ 100 კაცი. დღეს 800 ბახტიარი ემირ მუჯაჰიდის მეთაურობით ვერამინისაკენ გაემართა. ძველმა შახმა იერიშის მიტანა დაიწყო. მისი რაზმები ქალაქს უახლოვდებიან, მაგრამ მისი გამარჯვების იმედი კი არავის აქვს. მთავარსარდალი ეფრემი, ამბობენ, ძალიან არის ავადაო და ამიტომ ბრძოლაში მონაწილეობას ვერ მიიღებსო. სამსამუს-სალტანეს კაბინეტმა სამსახურიდან გადადგომა ითხოვა, მაგრამ თხოვნა ჯერ არ დაუკმაყოფილებიათ. უთანხმოება, რომელიც მინისტრსა და მთავრობას მოუვიდათ, მოისპო. ემირ მუფახამის ჯარი სალარუდდოულეს დასახვედრად მიდის.

**თავრიზი.** თავრიზის ენჯუმენი თავნებობს. გუბერნატორს უნდა ქალაქიდან წავიდეს. ქურთები ძალიან დამარცხდნენ.

**სალონიკი.** კოტოროტის მიდამოში შეკრებილი ბერძნების ბრბო გაჰფანტეს.

**ქრისტიანია.** სტენქერში სალდათებმა უწესობა დაიწყეს. მიზეზი ის არის, რომ დაატუსაღეს ერთი ახალგაზრდა სოციალისტი სალდათი, რომელმაც ბრძანების შესრულებაზე უარი სთქვა. ამხანაგებმა დატუსაღებულის განთავისუფლება მოინდომეს; დამნაშავენი იპოვეს.

**პარიზი.** საფრანგეთის ელჩი კამბონი უქეიფობისა გამო ბერლინს წასვლას დააყოვნებს, წავა ოთხშაბათს, ან ხუთშაბათს.

**რომი.** გაზეთი „ტრიბუნა" ამბობს, ტყუილია ის ხმა, ვითომც სამთა კავშირის სახელმწიფოების გარეშე საქმეთა მინისტრები შეხვედრას აპირებენო.

**ახალი ბუხარა.** ემირის ბრძანებით გაიძევეს ათი მოლა, რომლებიც რეფორმების შემოღებას ხელს უშლიდნენ. ამათმა მომხრეებმა მოძრაობა დაიწყეს, ვითომცდა რუსეთის საწინააღმდეგოდ, მაგრამ პოლიტიკურ საგენტოს მეოხებით, მოძრაობა თითქმის ჩანელდა.

### რუსეთი.

**ოდესა.** იმედია, რომ გაფიცულებს მალე მორიგდებიან. ერთ გემზე მუშაობა უკვე დაიწყო.

**ასტრახანი.** ერთ კვირაში ქალაქსა და მაზრაში 87 კაცი გახდა ავად. 42 მოკვდა.

**ცარიცინი.** ხოლერის გაჩენის შემდეგ 52 კაცი გახდა ავად. 23 მოკვდა.

**ნოვოჩერკასკი.** ბანაკში ხოლერით 17 სალდათი გახდა ავად. 5 მოკვდა. მცხოვრებთაგან 2 მოკვდა.

**პეტერბურგი.** ეირდიზების მინდვრები შავი-ზღვის მხრით არა საიმედოდ გამოცხადდა.

„სოვრემენნი სლოვოს" რედაქტორს 30 თუმნით დააჯარიმეს.

## პასუხად ასიკოს, „კავკასის ჭირ-ვარამის" ავტორს.

(დასასრული*)

ადგილობრივმა გამგეობამ, რომ სამი პატივცემული პირი ამოირჩია და დაავალა ეკლესიის საქმეები განეხილა და თავისი შთაბეჭდილება ეკლესიის შემოსავალ-გასავლის თაობაზე გამგეობისათვის მოეხსენებინა, რატომ მათ არაფერი პასუხი არ მისცეს გამგეობას? საყდარი სკოლას ეკუთვნის. ახლა ბ. შვილიევი და მღ. ნათაძე იძახიან: „საყდარი სამრევლოა, რატომ სხვაგან არ აქვს დასაწყისს სკოლას ეკლესია, ან რათ უნდა ასეთ პატარა სკოლას ეკლესიაო" ამას, ალბად, იმიტომ ამბობენ, რომ უნდათ ჩვენი სკოლა სამრევლო სკოლად გადააქციონ.

1899 წელში ერთხელ მივწერე კიდევაც მთავარ გამგეობას, რომ მღ. ნათაძისათვის ჩაეგონებინა სკოლის ინტერესებისათვის უპირატესობა მიეცა, ვიდრე თავის პირად ინტერესებისათვის.

მე ყოველთვის იმ აზრს ვადექი, რომ სანამ მე ვარ პასუხისმგებელი სკოლის საქმეებისა, მანამ ყოველთვის უნდა ვიცოდე, რა კეთდება და რა ხდება.

მე თითქმის ყოველ დღე სკოლაში დავიარებოდი და რამდენადაც შესაძლო იყო, საქმეს თვალ ყურს ვადევ-

*) იხ. „სახალხო გაზეთი", N 378.

---

არც ერთ იდენტიურ პიროვნებას, კოპიოს. ხელოვანი შემოქმედის ძალით თავის სალიტერატურო ტიპის პიროვნებაში აგროვებს იმას, რაც, უმეტესს შემთხვევაში, სხვა და სხვა ადამიანთა თვისებებს შეადგენს. გ. ერისთავის „ძუნწი" ამ მწერლის პოეტურ შემოქმედების ნაყოფია და არა ფოტოგრაფიული სურათი ძუნწი ადამიანისა. მწერლის „ძუნწი" იმიტომ სტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ამ პიროვნებაში პოეტმა შეაგროვა, განამტკიცა, განავითარა, გარდაქმნა, გაფანტული თვისებები, კონკრეტიულად არსებულ ძუნწი ადამიანებისა. აქ სინამდვილე მხოლოდ სტიმულია, იმპულსია შემოქმედებითი ნიჭისათვის, თვით შემოქმედების ნაყოფი კი „იდეალისტურ წყაროდან მიმდინარეობს." იგი უფრო „სიმბოლოა" ვიდრე „საგანი".

ასე რომ, ამ აზრის მიხედვით, თვით რეალისტური მიმართულების ნაწარმოები თავისი შემოქმედებითი შინაარსის მხრივ სიმბოლიურია და იგი არასოდეს არ არის მარტო ის, რაც არსებობს სინამდვილეში. და თუ ეს ითქმის რეალისტური ხასიათის ნაწარმოებთა თაობაზე, რაღა უნდა ვთქვათ იმ ნაწარმოებისა, რომელსაც ხილ-უსახებ საგანთა გამოსახვა კი არ დაუსახავს მიზნად, არამედ სულიერ სიცოცხლის უხილავ და რთულ განცდათა. ან იქნება სთქვათ, ხელოვნება არ უნდა მიეკაროს ამ საეჭვო საგანს, მისი სარბიელი მარტოოდენ გარეგანი ყოფა-ცხოვრებააო? სწორედ ამ აზრების ქადაგებას შეუდგა ზოგიერთი ჩვენი „კრიტიკოსი", დაშინებული ქართულ ლიტერატურისათვის იმ უჩვევ ჰანგებით, რომელთაც აჟღერებენ ახალგაზდა პოეტები. მაგრამ ამ ნიადაგზე დამკვიდრება გამოიწვევს მარტოოდენ სიკვდილს ხელოვნებისას.

ჩემის აზრით, ახალგაზდა პოეტების შესახებ, ერთი-ორი კაცის გარდა, ლაპარაკი ნაადრევია. ლექსები გაფანტული აქვთ გაზეთებში. არ არის ჯერ მათ ნაწარმოების კრებული, რომ გულდასმით წაიკითხოთ და დაინახოთ, ვისთანა გაქვთ საქმე. მაგრამ თუ ჩვენი ახალგაზდა პოეტების წინააღმდეგ გალაშქრებას მხოლოდ ას აზრი აქვს, რომ ზოგიერთ ჩვენებურ ლექტორს აფიქრებს და აშინებს ირაციონალური ხასიათის მოტივების დამკვიდრება ლიტერატურაში. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის, რომ „კრიტიკოსები" ამ შემთხვევაში ცუდ სამსახურს უწევენ არა მარტო ჩვენს სალირიკო პოეზიის გაფურჩქვნას, არამედ ჩვენს სულიერ გამდიდრების საქმესაც. უტილიტარიზმის გამეფება ხელოვნებაში ხშირად სულიერ უმოძრაობის გამეფებას მოასწავებს. ჩვენი პოეტების სულიერი კულტურა დიდი არ არის, მაგრამ თუ, ვიმეორებ, ამ უტილიტარიზმის ტრფიალების ძალით ეომებიან დღეს იმ ორიოდე პოეტსაც კი, რომელმაც იგრძნო ტრაგიკული ხასიათი სიცოცხლისა და ვინც ცდილობს პოეტური ფორმა მისცეს თავის ახლად შეძენილ და მოპოვებულ სულის განცდას, ის ხელს ვერ შეუწვდენს რომანიულ, დრამატიულ და საეპიკო ნაწარმოების აღორძინებას ჩვენს მწერლობაში.

ყველა აქედან მკითხველმა ის აზრი არ უნდა გამოიტანოს, ვითომ ხელოვნებამ ზურგი უნდა უბრუნოს სიცოცხლეს და სინამდვილეს და ვითომ მისი ერთად-ერთი სამოქმედო ასპარეზი ირაციონალური ხასიათის სამეუფოა. თუ ზოგიერთი პოეტი ამასა სჯერდება, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, ვითომ ხელოვნება ისაზღვრებოდეს ამ მოტივებით. ეგრედ წოდებული ყოფა-ცხოვრება, ადამიანთა შორის არსებული კონკრეტიული განწყობილებანი, საგანი და „საგანთა სამეუფო", პლასტიკა საგნისა და მოვლენისა, ხორცი და ნივთი, ყოველთვის უნდა იყოს საფუძველი არა მარტო ხელოვნების შემოქმედების, არამედ ადამიანის სულის ყოველგვარ შემოქმედებისა. რელიგიის კონსტრუქცია შეუძლებელია თქვენთვის, თუ ასე თუ ისე არ გამოსახეთ თქვენი განწყობილება ცხოვრებასთან, საგნებთან, მიწასთან, ხორცთან. რელიგიამ შეიძლება უარჰყოს მიწა და ხორცი, მაგრამ გულ გრილად და შეუმჩნევლად ვერ დაუვლის ამ მიწის და ხორცის წინაშე. „საიმქვეყნოს" ყოველთვის „საამქვეყნოს" უვარგისობა ედება საფუძვლად. და თუ აქ რელიგიურ სფერაში მოსჩანს კავშირი ორ, თითქოს მოპირდაპირე, სამეუფოსი, იგი კავშირი აუცილებელი ხდება იქ, სადაც თვით სულიერი შემოქმედება ხორციელობაში ასე მკვიდრად არის გადახლართული.

თუ ტონიკურ ხასიათის ესთეტიკურ შემოქმედებას, „ხორციან" და „ნახაზთან" მორეული დამოკიდებულება აქვს, იგი არ ითქმის პლასტიკაზე, მხატვრობასა და სკულპტურაზე, სადაც „ნახაზი" (рисунокъ), ე. ი. რეალურად არსებულ საგანთა ფორმა და გამოსახულობა, უნდა იყოს დაცული. მეტაფიზიკურ და ირაციონალურ სულიურ განწყობილების დასახვისათვის სრულიად აც არ არის საჭირო „ნახაზის" დამახინჯება და ყოფა-ცხოვრებასთან კავშირის გაწყვეტა. პირ-იქით, ძალა ხელოვნებისა მოულოდნელად ძლიერ კონტრასტებშია. თუ გიპყრობთ ძალა ირაციონალურისა, რაციონალური საფუძველი, რომელზედაც დგეხართ, მეტად გამოაჩენს თქვენს სულიერ განწყობილებას. თუ სულის მეუფეობისაკენ მიისწრაფის თქვენი გული, გვაჩვენეთ ხორცი, რომელმაც შეგაძულათ „სოფელი". თუ სილამაზე გაფრთოვანებთ, დაგვისახეთ სიმახინჯე და სიდუხჭირე. ეგეც არ იყოს, თვით ეს ბუნება და ეს ჩვენი მუდმივი სიცოცხლეც კი მშვენებით და საიდუმლოებით არის აღსავსე, მას რომ შეჰხედოთ, სხვა, არა მუდმივ სიცოცხლის საზომით.

ხელოვნებას ხორცი არ უნდა ავაცალოთ, მაგრამ იმიტომ კი არა, ხორცი ჰავიხადოთ ღმერთად და გულში დავიხშოთ სურვილი უსაზღვროებისადმი მისწრაფებისა. როდესაც ამგვარი ტენდენციები (ემპირიულ ფარგლის გაცილებისა) მეცნიერებას ებადება, იგი დასაგმობი და უარსაყოფია, ხოლო როდესაც ხელოვნება ესთეტიური ინტუიციის ძალით გვიშლის სურათს, რომლის ხილვა სილოგიზმის და ლოღიკის საშუალებით არ ძალგვიძს, უნდა დავსტკბეთ იმ სურათით და ვლოცავდეთ იმ შემოქმედებით ნიჭს, რომლის წყალობით უხილავი ხდება ჩვენთვის ხილულად და შეუძლებელი შესაძლებლად. ღრმა და უტყუარი მნიშვნელობა ნამდვილი ხელოვნებისა სწორედ აქ იმალება და არა იმაში, ვითომ ხელოვნებამ უნდა იზრუნოს ივანე, პეტრეს და არშაკას „ბედნიერებისთვის", იმისათვის, რომ ყველას თანასწორად დოვლათი მიენიჭოს, სადილად შემწვარი ვარიკები და ყაბულ-ფლავი არ მოაკლდეს, რომ ყველანი თანასწორად თბილ და კარგად მოწყობილ სადგომებში სცხოვრობდნენ და რომ სადგომებს, სიბინძურის თავიდან ასაცილებლად, კარგად მოწყობილი კანალიზაცია ჰქონდეს. დეე, ყოველივე ეს სოციალურმა და პოლიტიკურმა პროგრესმა მოგვანიჭოს, ხოლო მოიცეთ მოწყალეობა, „სასანიზაციო ობოზების" ორგანიზაციის ნუ დააკისრებთ ხელოვნებას.

**არჩ. ჯორჯაძე.**

ნებდი. ზოგიერთ მასწავლებლებს ეს არაფრად ეპიტნავებოდათ. მღ. ნათაძე და მასთან ზოგიერთნი მასწავლებელნი ცდილობდნენ როგორმე ზედამხედველი თავიდან მოეშორებინათ და ამიტომ ამბობდენ სხვის ჩასაგონებლად: „ისეთი სკოლის გამგე, რომელიც სკოლაში გაკვეთილებს არ აძლევს, საჭირო არ არისო“. ამისთანა ლაპარაკი საქმეს ჰრევდა.

წელს თხოვნა შევიტანე გამგეობაში და ვითხოვე კომისია დაენიშნათ საქმის გამოსარკვევად. მასთან დავასახელე კომისიის წევრები და დავსძინე, თუ გამგეობა ჩემგან დასახელებულ პირთ არ იყაბულებდა, თავის მხრივ დაენიშნა ვინცა ჰსურდა. მღ. ნათაძე წინააღმდეგი გახდა ამ კომისიისა. ეს მესამე თვეა ვუცდი პასუხს. **თუ გამგეობა არ დათანხმდა ჩემს თხოვნას, მაშინ ბ. შვილიევს და მღვდელს სამედიატორო სამართალში გამოვითხოვ** და მით მაინც დავანახვებ საზოგადოებას, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი.

რაც შეეხება ბ. ალ. ვ. ქიქინაძის განკარგულებით ვითომ პროგრამის შეცვლას, ესეც სინამდვილეს მოკლებულია. მინდოდა მომენახა ხსენებული ქაღალდი, მაგრამ ბ. შვილიევმა და მღ. ნათაძემ ნება არ მომცეს, ამიტომ მკითხველს ვერ გავუზიარებ იმ ქაღალდის შინაარსს. თუ სკოლის პროგრამის შეცვლა მნდომებოდა, ამას მოვახდენდი მაშინ, როდესაც ეს მოითხოვა თერგის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორმა ბ. გრუშევსკიმ, როდესაც წინააღმდეგი გავუხდი და მით დავიფარე პროგრამის სიმთელე. ამას ამტკიცებს სკოლის სარევიზიო წიგნი. მღ. ნათაძემ თუ პატივცემულ ალ. ქიქინაძეს გადაჰკრა, ეს იმიტომ, რომ ჯერ დაემტკიცებინა თავისი პატრიოტობა და მერე ვალი გადაეხადა იმ სიმართლისათვის, რასაც ბ. ქიქინაძე ამბობდა სკოლის შესახებ, როგორც ნამდვილი ქართველი, და რაც არ მოსწონდა მღ. ნათაძეს.

„ბანკის საქმეში არეულობა შემოიტანა“-ო. აქაც მღ. ნათაძე არის დამნაშავე. აი ერთი მაგალითი: წიგნი რომლითაც ფული ინახება სხვა ბანკებში, ინახებოდა საბჭოს თავმჯდომარეს თ-დ ლორთქიფანიძესთან. თავმჯდომარე პეტერბურგს წავიდა და წიგნი მე გადმომცა, როგორც თავმჯდომარის ამხანაგს. ერთს სალამოს კრებას არ დავსწრებივარ. ამ კრებაზე ერთი ალიაქოთი აეტეხა მღ. ნათაძეს, რა ამბავია, სულ კახიძე და კახიძე, განა მის მეტი არავინ არის, რომ ყოველიფერი საქმე საზოგადოებისა მის ხელშია. ამისთანა ლაპარაკი ბ. შვილიევსაც კი სწყენოდა მაშინ. ახლა ბ. შვილიევი დაემორჩილა მღ. ნათაძეს და რასაც ის ეტყვის, იმას აკეთებს. ბ. შვილიევი არეულობას არქმევს იმას, რომ გამგეობის წევრები ვთხოვთ, წესიერება შემოიღოთ ბანკის საქმეებში. ბ. შვილიევი იძახის: „ჩვენ ბანკს ჯერ ხალხი არ მისჩვევია, როცა მიეჩვევა, წესიერებასაც მაშინ შემოვიღებთო.“

ვინც ბ. შვილიევს, როგორც თავმჯდომარეს, არ ეთანხმება და საბუთიანს რამეს ეტყვის და მას არ მოეწონება, ის საქმეს ჰრევს. ჩემგან საქმის არევა მდგომარეობს შემდეგში: ერთხელ, როცა დამეკითხნენ ერთი პირის თაობაზე, მივცეთ ფული თუ არაო, მე ვუპასუხე, ჯერ კარგად უნდა გავიგოთ, შეუძლიან მას ვალის გადახდა თუ არა, მე ამ პირს არ ვიცნობთ მეთქი და... აქ ბ. შვილიევმა სიტყვა გამაწყვეტინა უზრდელად. გამგეობის ყველა წევრმა პირი დააღო და შეაჩერდა ბ. შვილიევს, განცვიფრდნენ— რა მოუვიდა ამ კაცსო.

ჩემი დანაშაულება ის გახლავს, რომ პირდაპირი ლაპარაკი ვიცი. როცა ვხედავ საქმეში უწესოებას და მასაც ურცხვად ჩადენილს, თუ იქ ხმა მაქვს, ვერ მოვითმენ, უწესოებას უწესოება არ ვუწოდე და ეს ახლანდელ დროში არავის მოსწონს.

როგორ არ უნდა გავცხარდე იმ საქმისათვის, რომელსაც საუკეთესო დღენი ჩემი სიყმაწვილისა შევსწირე: უმთავრესი ხელმძღვანელი მ. ზ. ყიფიანი ავადმყოფი იყო და ნისლიან დღეს კარში ვერ გამოდიოდა, თუ სადმე საქმე იყო გასაკეთებელი, ყველგან მე მგზავნიდა და თან მეტყოდა: „შენ ახალგაზრდა კაცი ხარ, ჩემი სწავლება ნუ გეწყინება, წასვლა-წამოსვლა ნუ შეგეზარება, გამოიცდები და რომ რამე დამემართოს, ეს ჩვენი საქმე სულ შენ დაგაწვება თავს, სხვას ვერავის ვხედავ“. ხშირად ბარათს მომწერდა, საქმეს დამავალებდა. ეს ბარათები ხელში მაქვს. სამის წლის შემდეგ, როცა სკოლა გავხსენით, მ. ზ. ყიფიანი გარდაიცვალა, სწორედ იმ დროს როცა, სკოლას საკუთარი შენობა არა ჰქონდა. დავრჩი თითქმის მარტო. როგორც იქმნა სკოლის კომიტეტი დავითანხმე, სკოლისათვის საკუთარი შენობა აგვეშენებინა. ვიყიდეთ მასალა, დავაწყვეთ თავის ადგილზე და შემოდგომაზე შენება უნდა დაგვეწყო. მე საზაფხულოდ იმერეთში წაველი.

როცა კავკავში დავბრუნდი, ნაყიდი მასალა მთლად გაყიდული დამხვდა. შემომეყარა გულს, მაგრამ რაღას ვიზამდი. მასალის გაყიდვით ორმოცი თუმნამდე ვიზარალეთ. შეიქმნა ერთი ალიაქოთი, ზარალს მე მაბრალებდნენ. ზოგი მომხრე იყო ჩემი და უმეტესობა წინააღმდეგი, არა სურდათ სკოლის აშენება. ბოლოს საქმე ქ. შ. წ. კ. გამგეობაში გადავიტანე და იქ ჩემის თანდასწრებით გადასწყდა, სკოლისათვის საკუთარი სახლი აშენებულიყო.

რამდენი ამისთანა, და მეტიც, მწუხარება მომყვენებია სკოლის საქმეში. ამის მოწმენი კიდევ არიან, თუმც ცოტანი.

ძლიერ ძნელია, გაზეთში დაიბეჭდოს ყველა ის, რაც შემიძლია ვთქვა ჩემის მოწინააღმდეგეების შესახებ. მთელი ბროშიურა დაიწერება, სულ ფაქტებით სავსე, იმ ვაჟბატონების შესახებ, რომელნიც მზა-მზარეულზე მობრძანდნენ და იძახიან, საქმეს ჩვენ ვაკეთებთო.

ვნახოთ, რას იტყვის ის კომისია, რომლის დანიშვნას მე ვთხოულობ.

ახლა გადავიდეთ ბ. შინაურის „ჟურნალისტის დღიური“-ს შინაარსზე. („სახალხო გაზეთი“ № 353) როგორც სჩანს, დიდი ვინმე ბუმბერაზი უნდა იყოს ბ. შინაური, მაგრამ გავბედავ და ორიოდე სიტყვას მოვახსენებ, თუ ღირსად გამხდის ყური დამიგდოს და მომისმინოს.

ბ. შინაურს დაჰვიწყებია, რომ, სანამ მსჯავრს დასდებდე, მეორე მხარესაც უნდა მოუსმინო. მაგრამ ცოტა სულწასულობა ეტყობა ბ. შინაურს.

ბ. ასიკოს მოწერილი ამბის საპასუხოსაგან გაიგებთ რამდენად ვჯიუტობ და საქმეს ვურევ. ბ. შვილიევს არავინ ხელს არ უშლის თავმჯდომარის მოვალეობა აასრულოს, თუმცა იგი არ გახლავს კანონიერი თავმჯდომარე.

მღ. ნათაძის განცხადება გასაღების თაობაზე, სრული სიცრუეა. ამის დამტკიცება ადვილია, ჩემზე კავკავის ქართველობა არასოდეს არ ამხედრდებულა და, ვფიქრობ, არც ამხედრდება. ამხედრდა მღ. ნათაძე და მისი დამქაშები, რადგანაც მათ ჰსურსთ ყველა აქაურ საზოგადო საქმეებს ანაფორას ქვეშ ამოაყოფინონ თავი, თეატრსაც-კი.

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი გამგეობა, მე რომ სკოლის გამგედ მსთვლიდა, ამას ამტკიცებს ჩემგან მიღებული წერილი მთავარ გამგეობისაგან: **„№ 186, 20 ივნისი. 1911 წელი. კავკავის სკოლის გამგეს ბ. ტ. ბ. კახიძეს....“** ეს საუთაური წერილისა ამტკიცებს, რამდენად გაუქმებული იყო გამგის თანამდებობა. რასაც კორესპონდენტი იწერება, ეს მოხდა 10 ივნისამდე. გამგეობის წერილი თავდება შემდეგი სიტყვებით: „მთავარი გამგეობა დარწმუნებულია, რომ თქვენის გამოცდილებითა და რჩევით ხელს შეუწყობთ ადგილობრივ გამგეობას ისეთის ინსტრუქციის შედგენაში, რომელიც კავკავის სკოლის საქმეს წინ წასწევს და მასწავლებელთ შორისაც უფრო მჭიდრო ერთობას ჩამოაგდებს“. ეგებ აქედგან მაინც გაიგოს ბ. შინაურმა, რამდენად საქმისათვის მავნებელი ვყოფილვარ.

„ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო“, არის ხალხური ანდაზა.

ბ. შინაურს, ალბად, ან კარგად არ აქვს აქაური საქმეები გათვალისწინებული, და მაშინ უვიცს უნდა ვაპატიოთ, ან ბოროტებით მოუვიდა ჩემ თაობაზე დღიურის დაწერა, ვითომ ერთი წიხლი მეც წავკრაო; ამ შემთხვევაში მე ბოროტ კაცთან საქმის დაჭერისაგან ღმერთმა დამიფაროს, მე ამისათვის არა მცალია.

თუ ამდენი დავწერე საპასუხოდ, ეს უფრო **სკოლის გულისათვის**, ვიდრე ჩემ გასამართლებლად, რადგანაც მე კარგად ვხედავ—რა განსაცდელიც მოელის სკოლას, თუ აქაურმა საზოგადოებამ თვალი არ გაახილა. პირადად ჩემთვის აქაურს სკოლას ზარალის მეტი არაფერი მოუტანია (ბევრმა, ეგება არც კი იცოდეს, რომ ამოდენ ხანს უანგაროდ ვემსახურებოდი, არ გეგონოთ ეს ადგილი ჯამაგირიანი იყოს).

ჩემი მოწინააღმდეგები კი ზოგი სარგებლობას მოელის და ზოგი ბრმად ემორჩილება სხვებს. ჩემს სიცოცხლეში სამ საზოგადო საქმეშიმიმიღია თვალსაჩინო მონაწილეობა: ჩემის მეთაურობით, სტუდენტობის დროს, ხარკოვის უნივერსიტეტის წიგნთ საცავთან დაარსდა ქართული წიგნების განყოფილება, (კატალოგიც შევადგინეთ ილ. კასრაძისა და ალ. თ. ყიფშიძის დახმარებით).

მეორედ კავკავის სკოლის დარსებაში ვღებულობდი თვალსაჩინო მონაწილეობას და მასუკან აქნობამდის ჰმუშაობ. შეიძლება ვცდებოდი რამეში, მაგრამ არ ცდება მხოლოდ ის, ვინც არაფერს აკეთებს. მესამე: ალაგირის ქართველებისათვისაც ვითავე სკოლის გახსნა. პირველს საქმიდან შორსა ვარ. რაც შეეხება კავკავის ქართულ სკოლას და ალაგირისას, ამათთვის თუ კი რამე შემეძლება, ყოველთვის მზად ვარ დავეხმარო შეძლებისა დაგვარად. ყურადღებას არ მივაქცევ არც მღ. ნათაძეს და მის დამქაშებს, და არც „სახალხო გაზეთის“ მეფელეტონეებს, რომელთაც, თუ სამასხაროთ ვინმე აიგდეს, ჰგონიათ დიდი საქმე გავაკეთეთო. მადლობს.

ტ. კახიძე.

## წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

თქვენი პატივცემულის გაზეთის 371 ნომერში, „გურიის ნავთის მრეწველთა საზოგადოების“ დრიებით გამგეობის დირექტორები ბ. ბ. ი. ტერ-ვართანიანი და ს. არამიანცი პროტესტს მიცხადებენ მათი ამხანაგობის დამფუძნებელ წევრის ს. ურუშაძის შესახებ უსაფუძვლო ცნობების გავრცელებისა გამო. როგორც ეტყობათ, ისინი ძლიერ გაოჯავრებიან ჩემი წერილის იმ ადგილს, სადაც ეწერა: „ამ ამხანაგობის სახელით მოქმედებდა, სხვათაშორის, ინჟ. ს. ურუშაძე, მაგრამ უკანასკნელად მის შესახებ გურიაში მეტად ცუდი ხმები დადის, და როგორც ამბობენ, ხსენებულმა ამხანაგობამ კიდევაც გამორიცხა თავის წრიდანო“.

ბ. ბ. დირექტორნი კი ამონაწერის პირველ ნაწილს გვერდს უვლიან და პირდაპირ აცხადებენ, ს. ურუშაძე ამხანაგობის წევრად ითვლებაო, თითქო ჩვენთვის ეს იყოს უპირველესი და არა ის—თუ საზოგადოდ, როგორ იქცევა ესა თუ ის ინჟინერი. მიუხედავად ამისა, მე მზადა ვარ დაგიმტკიცოთ, რომ თქვენგანვე ოზურგეთის სასტუმროში წარმოთქმულ სიტყვებიდან ნათლად მოსჩანდა, რომ ურუშაძის საქციელით არც თქვენ ბრძანდებოდით დიდად კმაყოფილნი, იქ თქვენ დაახლოვებით შემდეგი სთქვით: ურუშაძემ ჩვენ დაგვტყუა ფული, თავის დანიშნულებას არ მოახმარა, მას აქვს ჩვენთან ხუთასი დესეტინის პაი, მაგრამ იმასაც შევისყიდით და შემდეგ იგი ჩვენი ამხანაგობის წევრი აღარ იქნებაო.

ეს შეუძლიანთ დაამოწმონ ბ. ბ. ჯაბა მამულაიშვილმა, კოწია თავართქილაძემ, თენგის იამაიშვილმა და სხვებმა... ამის შემდეგ თვით მკითხველმა განსაჯოს—მქონდა მე უფლება თუ არა ურუშაძის შესახებ ისეთი სათუო ხასიათის ცნობა მომეთავსებინა, რომ „როგორც ამბობენ, ხსენებულ ამხანაგობამ კიდევაც გამორიცხა თავის წრიდან მეთქი“. ჩვენ მზადა ვართ ყველა ეს, მოწმეების ჩვენებით დავამტკიცოთ და ამასთან გამოვაშკარაოთ ბ-ნ ურუშაძის ყალბი საქციელი, რასაც ბ. ბ. დირექტორები ასე შეგნებულად გვერდს უქცევენ.

Duo.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მომცეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ხონის ქართველ მომღერალთა გუნდის ლოტბარს ბ-ნ ვლ. ბეს. ბახტაძეს და აგრედვე იმ პირთ, ვინც კეთილ ინებეს და რითიმე დახმარება გაუწიეს 6 აგვისტოს ს. დიდჯიხაიშში გამართულ სალამოს.

სალამოს გამგე **ტრიფონ შუბლაძე.**


# განცხადებანი

მუხრანის ხიდთან

# სამკურნალო

გაიხსნა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул. 9. в 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ატენიანცი ნ. ა.** ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

**ნ. მ. ახპიხოვი**—(მედ. ექ.), ყურის: ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. ახვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებანი დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გეორგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

**ქ. ა. გუნიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

**ი. გ. კალამკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიან**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

**გ. ა. მელქონიანი**—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—50) 0—103—125)

„სორაპანის“ ამხ. გამოცემანი

# ქართველი მწერლები

ნაწილი I, ფასი 80 კ. (ყდით). შედგენ. ივანე გომელაურის მიერ და ნაწ. II, ფასი 1 მ. 45 კ. (ყდით). შედგ. მიხგანმ.

იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში. წიგნის გამყიდველებს დაეთმობათ ჩვეულებრივი პროც. ამ სახელმძღვანელო წიგნების გამოწერა შეიძლება წ. კ. ს. წიგნის მაღაზიიდანაც, რომელზედაც მაღაზია დაუკლებს იმდენსავე %, რამდენსაც თავის წიგნს უკლებს. ვისაც სურს წიგნის პირდაპირ გამოწერა, უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, типографія «Сорапань». (10—1450—1)

საამხანაგო საზოგადოება

„ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორიისა“.

(დაარსებული 1860 წ.).

იზმაილოვის პროსპ., № 27.

პარიზის 1900 წ. ოქროს მედალი.

# სატუალეტო ძმარი

ამ ძმარის მრავალ-გვარმა კოსმეტიურმა თვისებებმა ტუალეტის უსაჭიროესი ალაგი დაიჭირა.

მთავარი საწყობი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.

(12—1291—3)

# დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულიანი:** 10—12 ს, ყურისა ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აგეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ქალ. ექიმ. ბ. ი. ზილბერშაცი:** 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან· და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო ო ი:

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გევორქოვა-ენგელი:** 6—$6^1/_2$ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარცაშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. (წ. (1168—110)

გამოცდილი **მასწავლებელი**

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის, მეოთხე კლასამდე; სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის, აგრედვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე. ყველა კლასის ჩასაბარებლად** ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შევსებიდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

დროებითი ადრესი: Черкезовск. (бывшая Авчальская) ул. д. № 133; кв. 4. ითხეთ მასწავლებელი, შესავალი ომთაგრის კარებიდან (Противъ вокзала, въ Нахаловкѣ). (თ—1084—6)

ქ. თ ი ლ ა შ ვ ი

იყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

# ჭრა-კერვის

წ ი გ ნ ი

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით. ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Вульв. пер. 2. собс. домъ. (100—1140—60)

# ე. ა. სატუროვის დეპოში

მიღებულია დიდ-ძალი

# ახალ-სახიანი

# შპალიერი

მცირე ფასებიდან მოკიდებული.

ბითუმად მსყიდველთ საქარხნო პირობებით

ე თ მ ო ბ ა თ.

ტფილისი, სასახლის ქუჩა.

(10—1401—9)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

# იყიდება შემდეგი წიგნები:

| | |
|---|---|
| თხ. არჩ. ჯორჯაძისა: | წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო“, . . . . ფ. 75 კ. |
| | წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრივობა“ . . . . . . ფ. 80 კ. |
| ბ ა ტ ო ნ-ისა: | „ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით“ ფ. 1 მ. 20 კ. |
| ვ. ყიფიანისა: | „სამეგრელოს მთავარი ლევანი“, 4 მოქმ. დრამა . . . . ფ. 40 კ. |
| შიუკაშვილისა: | „მეგობრობა“, 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ. |

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

# ძმ. ძეგველოვების

მ ა ღ ა ზ ი ა ს

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

# ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

# ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია ღვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაიხუნი ხიზილალა

გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიც 50 კ.

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1054—)